ინტერპრესნიუსი 17.10.2020

ზესტაფონის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის სისტემების მშენებლობას 25 მილიონი მოხმარდება

წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქ ზესტაფონში დაგეგმილ წყალმომარგების მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, აცნობეს, ადგილობრივი მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის სისტემების მშენებლობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარი მოხმარდება.
დღეის მდგომარეობით ზესტაფონში არსებული მაგისტრალური მილი ამორტიზებულია და ინფრასტრუქტურის განახლებას საჭიროებს. მოსახლეობა კი ჭებით სარგებლობს და ქალაქის ძირითად ნაწილს წყალმომარაგება შეზღუდვით მიეწოდება. „აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, სათავე ნაგებობების, სატუმბო სადგურისა და რეზერვუარის მშენებლობა. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური გამრიცხველიანება. სამუშაოების დასრულების შედეგად, ზესტაფონში მცხოვრები 10 000 ოჯახი 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/624205-zestaponis-ucqveti-cqalmomaragebistvis-sistemebis-msheneblobas-25-milioni-moxmardeba

ინტერპრესნიუსი

20.10.2020

დედოფლისწყაროს სოფლების - ზემო და ქვემო ქედის, არხილოსკალოსა და გამარჯვების უწყვეტი წყალმომარაგებისთვის ახალი სისტემები მოეწყობა

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიმდინარე წლის გეგმით პროექტების განხორციელებას აქტიურად განაგრძობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიიდან აცნობეს, ამჯერად, კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების -ზემო და ქვემო ქედის, არხილოსკალო და გამარჯვების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებზე.
„ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების მიღება 28 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 3,6 მილიონ ლარზე მეტია. არსებული მდგომარეობით, ოთხი სოფლის მოსახლეობას გაზაფხულსა და შემოდგომაზე წყალი სტაბილურად, თუმცა ზაფხულისა და ზამთრის პეროდში დებიტის სიმცირის გამო შეზღუდვით მიეწოდება.რეაბილიტაციას საჭიროებს არსებული ინფრასტრუქტურაც. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჭაბურღილებისა და მაგისტრალური მილის მოწყობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სატუმბო სადგურს, წყლის სათავე ნაგებობას და რეზერვუარებს. მოძველებული ქსელი ახლით ჩანაცვლდება და გამრიცხველიანდება მოსახლეობა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 14 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც ოთხი სოფლის მოსახლეობას, ჯამში 5 000-მდე ადამიანს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

iPN პოლიტიკა საგარეო საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

დედოფლისწყაროს სოფლების - ზემო და ქვემო ქედის, არხილოსკალოსა და გამარჯვების უწყვეტი წყალმომარაგებისთვის ახალი სისტემები მოეწყობა

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიმდინარე წლის გეგმით პროექტების განხორციელებას აქტიურად განაგრძობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიიდან აცნობეს, ამჯერად, კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების -ზემო და ქვემო ქედის, არხილოსკალო და გამარჯვების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებზე.

„ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების მიღება 28 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 3,6 მილიონ ლარზე მეტია. არსებული მდგომარეობით, ოთხი სოფლის მოსახლეობას გაზაფხულსა და შემოდგომაზე წყალი სტაბილურად, თუმცა ზაფხულისა და ზამთრის პეროდში დებიტის სიმცირის გამო შეზღუდვით მიეწოდება.რეაბილიტაციას საჭიროებს არსებული ინფრასტრუქტურაც.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჭაბურღილებისა და მაგისტრალური მილის მოწყობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სატუმბო სადგურს, წყლის სათავე ნაგებობას და რეზერვუარებს. მოძველებული ქსელი ახლით ჩანაცვლდება და გამრიცხველიანდება მოსახლეობა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 14 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც ოთხი სოფლის მოსახლეობას, ჯამში 5 000-მდე ადამიანს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

წყარო: https://www.interpressnews.ge/ka/article/624554-dedopliscqaros-soplebis-zemo-da-kvemo-kedis-arxiloskalosa-da-gamarjvebis-ucqveti-cqalmomaragebistvis-axali-sistemebi-moecqoba

ინტერპრესნიუსი 21.10.2020

კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება

საქართველოს მელიორაცია სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციას განაგრძობს. როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, კახეთში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

„ პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების - წყალმიმღები კვანძის, ჰიდრანტების, გამანაწილებელი და შემტბორავი ჭების, დამცლელი კვანძის მოწყობას. ამ ეტაპზე ეწყობა პოლიეთილენის სხვადასხვა დიამეტრის მილები საერთო სიგრძით 10 850 მეტრი. ჩატარებული სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტში დამატებით 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის რეგულარულად მორწყვას უზრუნველყოფს. პროექტის ღირებულებაა 1 935 879 მლნ ლარი.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. დღეის მდგომარეობით საქართველოს მელიორაცია კახეთის რეგიონში ერთდროულად 15 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს, რომელთა დასრულების შემდეგ დამატებით 1990 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 9 300 ჰექტარზე გაუმჯობესდება",-აღნიშნულია ინფორმაციაში.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/624750-kaxetshi-samelioracio-inprastrukturis-mocesrigeba-grzeldeba

კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება

საქართველოს მელიორაცია სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციას განაგრძობს. როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, კახეთში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

„ პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების - წყალმიმღები კვანძის, ჰიდრანტების, გამანაწილებელი და შემტბორავი ჭების, დამცლელი კვანძის მოწყობას. ამ ეტაპზე ეწყობა პოლიეთილენის სხვადასხვა დიამეტრის მილები საერთო სიგრძით 10 850 მეტრი.

ჩატარებული სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტში დამატებით 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის რეგულარულად მორწყვას უზრუნველყოფს. პროექტის ღირებულებაა 1 935 879 მლნ ლარი.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

დღეის მდგომარეობით საქართველოს მელიორაცია კახეთის რეგიონში ერთდროულად 15 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს, რომელთა დასრულების შემდეგ დამატებით 1990 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 9 300 ჰექტარზე გაუმჯობესდება",-აღნიშნულია ინფორმაციაში.

ინტერპრესნიუსი

23.10.2020

ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პილოტური პროექტის შედეგები განიხილეს

საქართველოს წყლის რესურსების მართვაში ჩართულმა უწყებებმა და დაინტერესებულმა პირებმა ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პილოტური პროექტის შედეგები განიხილეს,- ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს. უწყების ცნობით, შეხვედრის მონაწილეები ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის ძირითადი მახასიათებლებისა და თავისებურებების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ; პროექტის გუნდმა წარმოადგინა ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის სგშ-ს მთავარი მიგნებები და დასკვნები. შეხვედრების მონაწილეებმა განიხილეს სგშ-ს ანგარიში და პროექტის გუნდს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს.

„შეხვედრას შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების 40-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის კავშირის, ენერგიის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე დარასმა და ევროპისათვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვითი საკითხების ოფიცერმა, ალიშერ მამაჯანოვმა. პილოტური პროექტი ინიცირებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადების საფუძველზე.

IPN პოლიტიკა საგარეთალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პილოტური პროექტის შედეგები განიხილეს

EUWI+

ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (EUWI+)

ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში

პროექტი | ოქტომბერი, 2020 წელი

UNECE OECD umweltbundesamt

საქართველოს წყლის რესურსების მართვაში ჩართულმა უწყებებმა და დაინტერესებულმა პირებმა ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პილოტური პროექტის შედეგები განიხილეს,- ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ცნობით, შეხვედრის მონაწილეები ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის ძირითადი მახასიათებლებისა და თავისებურებების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ; პროექტის გუნდმა წარმოადგინა ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის სგშ-ს მთავარი მიგნებები და დასკვნები.

შეხვედრების მონაწილეებმა განიხილეს სგშ-ს ანგარიში და პროექტის გუნდს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს.

„შეხვედრას შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების 40-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის კავშირის, ენერგიის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე დარასმა და ევროპისათვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვითი საკითხების ოფიცერმა, ალიშერ მამაჯანოვმა. პილოტური პროექტი ინიცირებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადების საფუძველზე.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დახმარებით და გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE) ხელმძღვანელობით ევროკავშირის პროექტის „წყლის ინიციატივა პლუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის" (EUWI+) ფარგლებში.

არასამთავრობო ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook – GEO ადგილობრივი პარტნიორია, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების მხარდაჭერას. სგშ-ს პილოტური პროექტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების სგშ-ს ჩატარების საქმეში საქართველოს მთავრობის იმ გეგმის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს მდინარეთა სააუზო მართვის მიდგომაზე გადასვლას",-აღნიშნულია ინფორმაციაში.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/625191-alazani-ivris-saauzo-martvis-gegmis-proektis-strategiuli-garemosdacviti-shepasebis-piloturi-proektis-shedegebi-ganixiles

ინტერპრესნიუსი

25.10.2020

მდინარე იორზე წყლის ხარისხის ქიმიური და ბიოლოგიური კვლევები ჩატარდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სპეციალისტების ჩართულობით, საქართველოში, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) შესაბამისად, ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესი მიმდინარეობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული დირექტივა, „დაკვირვებითი“ და „ოპერატიული“ მონიტორინგის გარდა, ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსების დაზუსტების მიზნით, „გამოძიებით“ მონიტორინგსაც ითვალისწინებს, რომელიც, ძირითადად, მონაცემების ნაკლებობის შემთხვევაში გამოიყენება.

უწყების ინფორმაციით, ამ მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მდინარე იორზე კვლევის წერტილები შეირჩა, სადაც, კალაპოტიდან ქვიშა-ხრეშის მოპოვებით დასაქმებულ ობიექტებზე, სააგენტოს სპეციალისტებმა წყლის ხარისხის ქიმიური და ბიოლოგიური კვლევები განახორციელეს. „გამოძიებითი“ მონიტორინგი, პროექტის „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის“ (EUWI+ 4EaP) ფარგლებში, ავსტრიის გარემოს სააგენტოს (Umweltbundesamt) და საფრანგეთის წყლის საერთაშორისო ოფისის (International Office of Water / Office International de l’Eau) მხარდაჭერით ხორციელდება.



iPn პოლიტიკა საგარეო საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხ

რეგიონი 13.10.2020 / 13:56

ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება

ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაციას წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ქალაქ ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია, მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო და არსებული ვითარება შეაფასა.

მისი თქმით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი პროექტია.

"მიმდინარე პროექტებიდან ვფიქრობთ, რომ ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა მოცულობითა და მასშტაბებით ერთ-ერთი მსხვილი პროექტია საქართველოში. დღეს, ადგილზე გავეცანით შესრულებულ სამუშაოებს და მინდა აღვნიშნო, რომ მშენებლობის ტემპი დამაკმაყოფილებელია“- განაცხადა გიგა მანდარიამ.

მათივე ინფორმაციით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სრულად განახორციელებს ჩამდინარე წყლების წმენდას , რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ზღვის აუზისა და ეკოლოგიის დაბინძურების რისკებს რეგიონში.

აღნიშნულ პროეტს აზიის განვითარების ბანკი 44 მილიონი ლარით აფინანსებს და მისი დასრულება მომავალი წლის თებერვალშია დაგეგმილი.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/625440-mdinare-iorze-cqlis-xarisxis-kimiuri-da-biologiuri-kvlevebi-chatarda